AM ACCOUNTABILITY MECHANISM

Office of the Special Project Facilitator | Office of the Compliance Review Panel

ADB

A. Complainants' Choice and Contact Information

1. Complainants' Choice

a. Please forward complaint to: *(Please choose only one and DO NOT leave this BLANK)*

☑ **Special Project Facilitator** *(Assists people who are directly and materially harmed by specific problems caused, or is likely to be caused, by ADB-assisted projects through informal, flexible, and consensus-based methods with the consent and participation of all parties concerned)*

☐ **Compliance Review Panel** *(Investigates alleged noncompliance by ADB with its operational policies and procedures in any ADB-assisted project in the course of the formulation, processing, or implementation of the project that directly, materially, and adversely affects, or is likely to affect, local people)*

b. Do you want your identities to be kept confidential?

☐ **Yes** ☑ **No**

2. Information on the Complainants *(The identities of complainants will be kept confidential unless the complainants agree to disclose their identities, but anonymous complaints will not be accepted.)*

Name and designation (Mr., Ms., Mrs.)	Signature	Mailing Address	Telephone numbers (landline/mobile)	E-mail addresses
1. Mr. Giorgi Gedenidze გიორგი გედენიძე				
2. Ms. Anaida Tabatadze ანაიდა ტაბატაძე				

3. Ms. Izolda Sikhuashvili იზოლდა სიხუაშვილი				
4. Ms. Marina Alaverdashvili მარინა ალავერდაშვილი				
5. Ms. Irma Keshikashvili ირმა ქეშიკაშვილი				
6. Ms. Inga Keshikashvili ინგა ქეშიკაშვილი				
7. Ms. Irine Archvadze ირინე არჩვაძე				
8. Mr. Giorgi Lomidze გიორგი ლომიძე				
9. Mr. Giorgi Gokadze გიორგი გოქაძე				
10. Mr. Iuri Omarashvili იური ომარაშვილი				
11. Mr. Gari Grigorian გარი გრიგორიან				
12. Ms. Natia Chkonia ნათია ჭყონია				
13. Ms. Efenia Elbakidze ეფენია ელბაქიძე				

3. Information on Authorized Representative *(If any)*. *(The identities of representatives who are not at the same time complainants will be disclosed to ensure transparency.)* საჩივარი არ არის შედგენილი ოფიციალური წარმომადგენლის მეშვეობით. Name of Authorized Representative, designation, mailing address, telephone numbers, and E-mail addresses. *(Please ask the representative to sign on top of his/her name.)* **Please attach evidence of authority to represent the complainants, which will include the full name and signature of the complainants, and their mailing address, telephone numbers, and E-mail address, as applicable.**

B. Project Information

Project name	თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის ფონიჭალის მონაკვეთის (მონაკვეთი 2-ის) პროექტი
Project location	საქართველო, ქალაქი თბილისი, რუსთავის გზატკეცილი
Brief description of the project	თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის ფონიჭალის მონაკვეთის (მონაკვეთი 2-ის) პროექტი ითვალისწინებს თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის მოდერნიზაცია-გაფართოებას ფონიჭალის მონაკვეთზე; კერძოდ, არსებული 2-ზოლიანი გზის გაფართოებას 4 ზოლამდე. პროექტის მიზანია თბილისსა და რუსთავს შორის არსებული დამაკავშირებელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. პროექტს აფინანსებს აზიის განვითარების ბანკი, ხოლო ახორციელებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში 2016 წლის 6 აპრილს გამოქვეყნდა; 2016 წლის 25 მაისს დაგეგმილია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარშის საჯარო განხილვის ჩატარება. 2015 წლის 29 ოქტომბერს გამოქვეყნდა „თბილისი-რუსთავის ურბანული სატრანსპორტო კვანძი – სექცია 2, ნაწილი B: განსახლების სამოქმედო გეგმა". დოკუმენტი არ ყოფილა საჯარო განხილვის საგანი.

C. The Complaint

1. **What direct and material harm has the ADB-assisted project caused to, or will likely cause to, the complainants?**

ჩვენი საცხოვრებელი კორპუსი, რომელიც მდებარეობს თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე, მოექცა თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის ფონიჭალის მონაკვეთის (მონაკვეთი 2-ის) პროექტის ზეგავლენის ქვეშ. პროექტის გამო, ჩვენ გვიწევს იძულებით განსახლება. ჩვენთვის მიუღებელია მუნიციპალური განვითარების ფონდის (მგფ) მიერ შემოთავაზებული იძულებითი განსახლების პირობები. ქვემოთ მოგახსენებთ ჩვენი უკმაყოფილების მიზეზებს.

საავტომობილო გზის ფონიჭალის მონაკვეთის დაგეგმილი პროექტის გამო, 2013 წელს მგფ-ს წარმომადგენლებმა ჩვენი საცხოვრებელი კორპუსის აუდიტი ჩაატარეს. როგორც შევიტყვეთ, პროექტის განმახორციელებლები თავდაპირველად განიხილავდნენ პროექტის საჭიროებისთვის კორპუსის მხოლოდ ერთი ნაწილის დანგრევის შესაძლებლობას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ შემთხვევაში, მთელი კორპუსის მდგრადობას საფრთხე დაემუქრებოდა. ამდენად, საბოლოოდ, მთელი კორპუსის დანგრევა გადაწყდა. კორპუსის დანგრევის გამო, მგფ-ს წარმომადგენლები გვთავაზობენ კომპენსაციას, რომლის ოდენობა იმდენად მცირეა, რომ ჩვენი საცხოვრებლების მგავსი ბინების ყიდვა შეუძლებელია, როგორც ჩვენსავე დასახლებაში - ფონიჭალაში (ბოლო მონაცემებით, ფონიჭალაში ბინების ფასი გაიზარდა და შემოთავაზებული კომპენსაცია ბევრად ჩამოუვარდება საბაზრო ფასს), ისე თბილისის სხვა უბნებში. ზემოხსენებულის გამო, მაცხოვრებლების ნაწილმა უარი ვთქვით მგფ-ს მიერ შემოთავაზებულ კომპენსაციაზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ კომპენსაციის გამოთვლისას მგფ-ს წარმომადგენლებმა არ აღწერეს ჩვენს საერთო სარგებლობაში არსებული ფართი (მაგალითად, საერთო სარგებლობის საპირფარეშოები, ასევე, საერთო დერეფნები, რომელიც საკმაოდ დიდი და მოსახერხებელია უსინათლოებისთვის) და შესაბამისად, არ ასახეს საკომპენსაციო თანხაში. ასევე, იყო შემთხვევები, როცა სხვადასხვა მოსახლეს 1 კვ.მ-ზე სხვადასხვა თანხა შესთავაზეს.

მოგვიანებით, მგფ-ის წარმომადგენლებმა ასევე შემოგვთავაზეს ბინები თბილისში, დიღომში, ლუბლიანას ქუჩაზე ორსართულიან საცხოვრებელ კორპუსში, რომელიც როგორც გავიგეთ, თავდაპირველად სტუდენტებისთვის აშენდა. ამ შემოთავაზებულ ვარიანტზეც უარი განვაცხადეთ, ვინაიდან ჩვენი კორპუსის ნაწილი უსინათლოებითაა დასახლებული (კორპუსი სპეციალურად უსინათლოთათვის 1960-იან წლებში აშენდა) და ამჟამინდელი საცხოვრებელიც მორგებულია უსინათლოთა ყოველდღიურ ყოფაზე (კორპუსთან ახლოსაა განლაგებული სკოლა, ბაღი, სამსახური და სხვა დაწესებულებები). გარდა ამისა, ფონიჭალაში ცხოვრება გაცილებით იაფია, ვიდრე, მაგალითად, დიღომში ან თბილისის სხვა უბანში. სხვა სიტყვებით, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება გართულდება, ხოლო ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზრდება; ამ გართულებულ პირობებსა და გაზრდილ დანახარჯებს კი, შემოთავაზებული კომპენსაცია არ ითვალისწინებს.

კორპუსის მაცხოვრებლების ნაწილი შემოთავაზებულ კომპენსაციას დათანხმდა და თანხაც უკვე მიიღო (დათანხმებულთა ნაწილი აღარ ცხოვრობდა ბინაში და უბრალოდ ინარჩუნებდა საკუთრებას, მეორე ნაწილმა კი, დიდი ფართობის დათმობის საფასურად

აღებული კომპენსაციით შეძლო მცირე ბინის ყიდვა და ამით დაკმაყოფილდა). ამის გამო, მგფ-ის წარმომადგენლები გვაძალებენ, რომ დავთანხმდეთ შემოთავაზებულ კოპენსაციას; წინააღმდეგ შემთხვევაში, ბინებიდან გამოყრით გვემუქრებიან. მგფ-ს წარმომადგენლებთან ყოველი ჩვენი ჩვენი შეხვედრა ჩვენზე ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ მიმდინარეობს.

2. Have the complainants made prior good faith efforts to solve the problem(s) and issue(s) with the ADB operations department concerned?

☑ Yes If YES, please provide the following: when, how, by whom, and with whom the good faith efforts were made.

1. 2015 წლის 26 ოქტომბერს განცხადებით მივმართეთ აზიის განვითარების ბანკის საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის განსახლების სპეციალისტს მედგარ ჭელიძეს და მოვითხოვეთ განეხილა ჩვენი საკითხი და ჩვენი პრობლემის გადასაჭრელად მოეხდინა შესაბამისი რეაგირება (იხ. დანართი #1). იმავე დღეს შეხვედრა გვქონდა აზიის განვითარების ბანკის უცხოელ წარმომადგენლებთან, რომლებმაც გვითხრეს, რომ მათთვის წერილობითაც მიგვემართა. იმავე დღეს, 2015 წლის 26 ოქტომბერს, წერილობით მივმართეთ აზიის განვითარების ბანკის უცხოელ წარმომადგენლებს.

2. 2016 წლის 22 თებერვალს საჩივრით მივმართეთ აზიის განვითარების ბანკის საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის განსახლების სპეციალისტს მედგარ ჭელიძეს. ჩვენ ვითხოვდით, პროექტის განხორციელებით გამოწვეული ჩვენი დანაკარგების სრულფასოვნად შეფასებას და შესაფერისი კომპენსაცია შემოთავაზებას (იხ. დანართი #2).

3. 2016 წლის 22 თებერვალს საჩივრით მივმართეთ აზიის განვითარების ბანკის საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის დირექტორს იეშიმ ელჰან კაილარს. ჩვენ ვითხოვდით, პროექტის განხორციელებით გამოწვეული ჩვენი დანაკარგების სრულფასოვნად შეფასებას და შესაფერისი კომპენსაცია შემოთავაზებას (იხ. დანართი #3).

Please describe any response the complainants may have received from or any actions taken by ADB

1. ჩვენს 2015 წლის 26 ოქტომბრის განცხადებაზე აზიის განვითარების ბანკის საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის დირექტორისაგან იეშიმ ელჰან კაილარისაგან (2015 წლის 4 ნოემბერის წერილი - იხ. დანართი #4) და აზიის განვითარების ბანკის ურბანული განვითარებისა და წყლის განყოფილების დირექტორისაგან ანანდ ჩიპლუნკარისაგან (2015 წლის 20 ნოემბრის წერილი - იხ. დანართი #5) მივიღეთ პასუხი, რომ ჩვენი წერილი გადაეგზავნა მგფ-ს და მოგვიწოდეს, გაგვეგრძელებინა ფონდთან მოლაპარაკება.

2. ჩვენს 2016 წლის 22 თებერვალის საჩივარზე მივიღეთ აზიის განვითარების ბანკის ურბანული განვითარების მთავარი

ეკონომისტის და პასუხისმგებელი თანამდებობის პირის იონგ იესაგან პასუხი (2016 წლის 1 მარტის წერილი - იხ. დანართი #6), სადაც ნათქვამია, რომ პროცესის საფუძვლიანი განხილვისათვის, აცილებელია, რომ ჩვენ, ყველამ, დაწყრილებით, ცალ-ცალკე აღვწეროთ ჩვენი პრობლემა და საჩივრები ინდივიდუალურად წარვადგინოთ საჩივრების განხილვის კომიტეტში. ასევე, ამავე წერილში კვლავ მიგვითეთეს, რომ გავაგრძელოთ თანამშრომლობა და მოლაპარაკება მგფს-თან.

გვსურს აღვნიშნოთ, რომ ჩვენი საჩივრის დანაწევრებას და ინდივიდუალური საჩივრების წარდგენას ჩვენგან სიტყვიერადაც ითხოვდნენ როგორც აზიის განვითარების ბანკის, ისე მგფ-ს წარმომადგენლები. თუმცა, არც მათთან შეხვედრების და არც ზემოაღნიშნულ პასუხის მიღების შემდეგ, ჩვენ ამ მეთოდს არ მივმართეთ, რადგან:

- ჩვენს კორპუსში მცხოვრებ ყველა მოსახლეს მსგავსი პრობლემა გვაქვს და საჩივრების ინდივიდუალურად წარდგენის საჭიროება არ არის;

- საჩივრის დანაწევრება და ინდივიდუალური საჩივრების წარდგენა ჩვენთვის ნიშნავს საწყის ეტაპზე დაბრუნებას. თითოეული საჩივრის მომზადება და შემდეგ მათი ცალ-ცალკე განხილვა კიდევ უფრო შეანელებს პრობლემის რეალურად გადაჭრის პროცესს;

- ვფიქრობთ, რომ აზიის განვითარების ბანკის და მგფ-ს წარმომადგენლები საჩივრების ინდივიდუალურად წარდგენისაკენ გამიზნულად გვიბიძგებდნენ, რათა მომავალში არ მოგვცემოდა თქვენთან საჩივრის წარმოდგენის შესაძლებლობა (როგორც ცნობილია, აზიის განვითარების ბანკის პოლიტიკის თანახმად, „ანგარიშვალდებულების მექანიზმში" (Accountability Mechanism) საჩივრის წარდგენა შეუძლია ჯგუფს, რომელიც შედგება ორი ან ორზე მეტი ადამიანისგან).

რაც შეეხება მგფ-სთან თანამშრომლობის გაგრძელებას, ჩვენ უკვე გვქონდა ფონდთან როგორც წერილობითი, ისე სიტყვიერი კომუნიკაცია, თუმცა, ჩვენი ურთიერთობა უშედეგოდ დასრულდა (იხ. ასევე ქვემოთ პუნქტი 4).

☐ **No**

3. **Have the complainants contacted the Office of the Special Project Facilitator or the Compliance Review Panel about their concerns?**

☐ **Yes,** Office of the Special Project Facilitator ☐ **Yes,** Compliance Review Panel

☑ **No**

If YES, please provide information on when the contact was made, how, by whom and with whom.

Please describe any response the complainants may have received or actions taken by the Office of the Special Project Facilitator or the Compliance Review Panel.

4. Please include any other information that you consider relevant.

ჩვენ 2015 წლის ოქტომბრიდან დავიწყეთ წერილობითი კომუნიკაცია სხვადასხვა უწყებასთან:

1. 2015 წლის 19 ოქტომბერს განცხადებით მივმართეთ კრწანისის რაიონის გამგებელს, გიორგი კოპალეიშვილს და მოვითხოვეთ, შეძლებისდაგვარად გაეწიათ ჩვენთვის დახმარება (იხ. დანართი #7). ამ განცხადებაზე 2015 წლის 17 ნოემბერს გვიპასუხეს, რომ აღნიშნული საკითხი სცილდებოდა მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას და შესაბამისად, ჩვენ დახმარებას ვერ შეძლებდა (იხ. დანართი #8).

2. 2015 წლის 19 ოქტომბერს განცხადებით მივმართეთ კრწანისის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს ბექა ნაცვლიშვილს (იხ. დანართი #9). პასუხი ამ წერილზე დღემდე არ მიგვიღია.

3. 2015 წლის 19 ოქტომბერს განცხადებით მივმართეთ ქ. თბილისის მერს, დავით ნარმანიას (იხ. დანართი #10). ამ განცხადებაზე 2015 წლის 10 დეკემბერს სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან უარყოფითი პასუხი მივიღეთ (იხ. დანართი #11).

4. 2015 წლის 26 ოქტომბერს განცხადებით მივმართეთ მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორს ჯუანშერ ბურჭულაძეს. ამ განცხადებაზე 2015 წლის 3 ნოემბერს გვიპასუხეს, რომ ჩვენი განცხადება საჩივრების განხილვის კომისიას გადაეგზავნა განსახილველად (იხ. დანართი #12).

5. 2016 წლის 1 თებერვალს განცხადებით მივმართეთ საქართველოს პრემიერ მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს (იხ. დანართი #13). პასუხად მივიღეთ, რომ ჩვენი განცხადება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გადაეგზავნა (იხ. დანართი #14).

6. 2016 წლის 1 თებერვალს განცხადებით მივმართეთ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს ნოდარ ჯავახიშვილს (იხ. დანართი #15). პასუხი დღემდე არ მიგვიღია.

D. Optional Information *(The following information is not mandatory, but would be helpful in processing your complaint.)*

1. Have the complainants sent their complaint to the grievance redress mechanism of the project concerned?

☑ **Yes** **If YES, please provide the following: when, how, and with whom the contact was made.**

2016 წლის 15 იანვარს საჩივრით მივმართეთ საჩივრების განხილვის კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ჯუანშერ ბურჭულაძეს (იხ. დანართი #16).

Please describe any response the complainants may have received or any actions taken.

2016 წლის 18 მარტს მივიღეთ პასუხი მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, სადაც ნათქვამი იყო, რომ კომისიამ ჩვენს მიერ განცხადებაში მითითებული მოთხოვნა არ დააკმაყოფილა (იხ. დანართი #17).

☐ **No** **If NO, why not?**

2. What is the desired outcome or remedy that complainants believe ADB should provide through the ADB's Accountability Mechanism?

ჩვენ ვაცნობიერებთ საავტომობილო გზის გაფართოების საჭიროებას და ზოგადად, პროექტის მნიშვნელობას, მაგრამ, ამასთანავე, მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ პროექტის გამო არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი ჩვენი უფლებები და ინტერესები.

ჩვენ ვითხოვთ, რომ სრულფასოვნად იქნეს შესწავლილი და შეფასებული თბილისი-რუსთავის ჩქაროსნული საავტომობილო გზის ფონიჭალის მონაკვეთის პროექტის განხორციელებით გამოწვეული ჩვენი დანაკარგები (მათ შორის, ქონების, განსახლების, ადაპტაციის და სხვ. ხარჯები) და შემოთავაზებულ იქნეს შესაფერისი კომპენსაცია (მათ შორის, განხილული იქნეს ფონიჭალაშივე განსახლების ალტერნატივა).

3. Why do complainants believe that the alleged direct and material harm is the result of ADB's failure to follow its operational policies and procedures? *(This applies if the complainants choose the compliance review function.)*

4. Please describe the operational policies and procedures that have not been complied with by ADB in the course of formulating, processing, or implementing the ADB-assisted project. *(This applies if the complainants choose the compliance review function.)*

5. Do the complainants have any other relevant matters or facts (with supporting documents) that the complainants would like to share with the Accountability Mechanism?

ქვემოთ, მოკლედ აღწერილია მგფ-სთან და აზიის განვითარების ბანკთან ჩვენი კომუნიკაციის ქრონოლოგია:

თავდაპირველად, პროექტის შესახებ ინფორმაცია აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლებმა მოგვაწოდეს. 2013 წლის ზაფხულში აზიის განვითარების ბანკის განსახლების სპეციალისტი მედგარ ჭელიძე გვეწვია და კორპუსის მაცხოვრებლებს შეგვხვდა. მან მოგვაწოდა ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ და გვითხრა, რომ მხოლოდ კორპუსის ნაწილი უნდა დაენგრიათ, რაზეც ჩვენი კორპუსის მაცხოვრებლებმა უკმაყოფილება გამოთქვეს.

2013 წლის ზაფხულშივე გვეწვივნენ მგფ-ს წარმომადგენლებიც, დაგვირიგეს ბუკლეტები პროექტის შესახებ ზოგადი ინფორმაციით და ჩაატარეს შეხვედრა. ამ შეხვედრაზე გამოგვიცხადეს, რომ თუ თანხმობის შემთხვევაში კორპუსი მთლიანად დაინგრეოდა, ჩვენ კი მივიღებდით სათანადო კომპენსაციას ან ახალ ბინებს.

2013 წლის შემოდგომაზე ჩვენთან კვლავ მოვიდნენ მგფ-სა და აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლები და შეგვავსებინეს ფორმები, სადაც გვთხოვდნენ, გამოგვეთქვა აზრი კომპენსაციის ფორმის თაობაზე - რომელს ვამჯობინებდით, თანხის თუ ბინის მიღებას. ფორმების შევსებისას ზოგმა მონიშნა თანხობრივი კომპენსაცია, ზოგმა - ბინა, ზოგმა კი, ორივე ვარიანტი.

2013 წლის ზაფხულში ჩაატარეს ჩვენი კორპუსის აუდიტი - კორპუსს სურათები გადაუღეს და ბინები აზომეს. ამის შემდეგ მგფ-სთან კონტაქტი აღარ გვქონია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც 2013 წლის მეორე ნახევარში მაცხოვრებლებმა გადავწყვიტეთ კორპუსის სახურავის გამოცვლა. მაშინ მგფ-ში გაგვაფრთხილეს, რომ კორპუსი, სავარაუდოდ, ნგრევას ექვემდებარება და სახურავი არ შეცვალოთო.

2015 წლის სექტემბერში კვლავ აღდგა კომუნიკაცია და ჩვენსა და მგფ-ს შორის. ჩვენ მიგვიწვიეს შეხვედრაზე მგფ-ს ოფისში. შეხვედრას მგფ-ს წარმომადგენლები დავით ბაინდურაშვილი და დაკით არსენიშვილი უძღვებოდნენ. მათ გვითხრეს, რომ კორპუსი უნდა დანგრეულიყო, ჩვენ კი კომპესაციას გადაგვიხდიდნენ. მგფ-ის წარმომადგენლები დაგვპირდნენ, რომ გზის გაყვანა ჩვენზე უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენდა, პირიქით, მას დადებითი ეფექტი ექნებოდა და ჩვენი ცხოვრების პირობებიც გაუმჯობესდებოდა. მათივე დაპირების თანახმად, მოლაპარაკებები აუცილებლად გაგრძელდებოდა და ისინი ჩვენ აზრს აუცილებლად გაითვალისწინებდნენ. ამ შეხვედრაზევე აღინიშნა, რომ ჩვენ დაკარგული საკუთრების საფასურის გარდა, გადაგვიხდიდნენ ე.წ. „დისკომფორტის" საფასურს - ქონების საფასურის 30%-ს. ამ შეხვედრის შემდეგ გამართულ შეხვედრებზე მგფ-ს წარმომადგენლები უკვე აღარ ახსენებდნენ „დისკომფორტის" საფასურს და დროდადრო ცვლიდნენ თავის პოზიციებს.

გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, ჩვენი კორპუსის ამხანაგობის თავმჯდომარეს მგფდ-დან დაურეკეს და თხოვეს, რომ მოსალაპარაკებლად ინდივუდუალურად მივსულიყავით. ამაზე ჩვენ უარი განვაცხადეთ და მოვითხოვეთ ჩვენთან მოსალაპარაკებლად ადგილზე მოსულიყვნენ. 2015 წლის სექტემბრის ბოლოს, შეხვედრაზე მოვიდნენ დავით ბაინდურაშვილი და დავით არსენიშვილი, თუმცა, მათგან ამ შეხვედრაზე კონკრეტული პასუხები არ მიგვიღია. მათ გვითხრეს, რომ მიუხედავად ჩვენი უკმაყოფილებისა, პროექტი მაინც განხორციელდებოდა, ან როგორც თავდაპირველად იყო დაგეგმილი, კორპუსის ნაწილი მაინც დაინგრეოდა.

2015 წლის 3 ოქტომბერს შევხვდით აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენელს მედგარ ჭელიძეს. მან გვირჩია, რომ მგფ-ში მივსულიყავით და საკომპენსაციო თანხის ოდენობაზე იქ გვედავა. ამის შემდეგ, ჩვენი კორპუსის ამხანაგობის თავმჯდომარე და ერთი წარმომადგენელი შეხვდნენ კვლავ შეხვდნენ დავით ბაინდურაშვილს. შეხვედრა (ისევე როგორც, პრაქტიკულად, ყველა სხვა შეხვედრა ამ ადამიანთან) მეტად დაძაბულ ვითარებაში წარიმართა. დავით ბაინდურაშვილი უხეშად და ირონიით მოგვმართავდა, დაგვცინოდა და ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდა ჩვენზე. ამავე შეხვედრაზე, ჩვენ კვლავ დაგვისახელეს საკომპენსაციო თანხა, რაზეც ჩვენ უკმაყოფილება გამოვთქვით მისი სიმცირის გამო.

ამის შემდეგ, არაერთხელ გვქონდა შეხვედრა აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლებთან, თუმცა მათგანაც იგივე პასუხს ვისმენდით.

2015 წლის 10 ნოემბერს შევხვდით აზიის განვითარების ბაკის უცხოელ წარმომადგენლებს, რომლებმაც გვითხრეს, რომ ჩვენ საკითხს აუცილებლად განიხილავდნენ და მგფ-ს დაავალებდნენ ჩვენთან თანამშრომლობას. ასევე, შექმნიდნენ საჩივრების განხილვის კომისიას, რომელიც ჩვენთან ითანამშრომლებდა. კომისიის თავმჯდომარე, მათი თქმით, ჯუანშერ ბურჭულაძე იქნებოდა.

2015 წლის 26 ნოემბერს მგფ-ში კვლავ შეეხვდით დავით ბაინდურაშვილსა და მის კოლეგას დავით არსენიშვილს. დავით ბაინდურაშვილმა გვირჩია, რომ საჩივარი არ დაგვეწერა და მათთან „თანამშრომლობა" გაგვეგრძელებინა.

ამასთან, მუნიციპალური განვითარების ფონდისა და აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლებთან ყოველი ჩვენი შეხვედრის დროს, ისინი მოგვიწოდებდნენ, ჩვენი პრობლემა ყველას დაწვრილებით ცალ-ცალკე აგვეღწერა და საჩივრები ინდივიდუალურად წარგვედგინა.

Name of the person who completed this form: Irina Svanidze, Green Alternative / ირინა სვანიძე, მწვანე ალტერნატივა

Green Alternative provides assistance to the complainants, but the organization is not representing complainants formally. Please, see attached letter (enclosure 18) of the complainants that authorizes Green Alternative to relay information/decisions between the complainants, on one hand, and the

Complaint Receiving Officer (CRO) and/or Special Project Facilitator (SPF), on the other hand, regarding this complaint and subsequent correspondence/submissions relative thereto.

მწვანე ალტერნატივა დახმარებას უწევს მომჩივნებს, მაგრამ ფორმალურად ის არ წარმოადგენს მათ. გთხოვთ, იხილოთ თანდართული მომჩივანთა წერილი (დანართი #18), სადაც ისინი მწვანე ალტერნატივას ანიჭებენ უფლებამოსილებას, მოახდინოს ამ საჩივართან დაკავშირებული ინფორმაციის/გადაწყვეტილებების და შემდგომი კორესპონდენციის/მასალების გადაცემა, ერთი მხრივ, მომჩივნებსა და მეორე მხრივ, საჩივრების მიმღებ ოფიცერსა ან/და პროექტის სპეციალურ ფასილიტატორს შორის.

Signature:

Date: 12 [illegible], 2016